საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030613474725717

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/3495 **18 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგეხსენებათ, C ჰეპატიტის სკრინინგით მოსახლეობის მაქსიმალურად მოცვის მიზნით, 2015 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, სკრინინგის პროგრამაში ჩართული იქნა ცენტრის რეგიონული სტაციონარული წერტილები (რეგიონული ლაბორატორიების ბაზაზე) და მოძრავი ლაბორატორიები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, სამედიცინო დაწესებულებები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საფთიაქო ქსელი. ჰოსპიტალურ სექტორის მიერ სალიცენზიო პირობებში შესული ცვლილების შესაბამისად 2016 წლის ნოემბრიდან ევალება ყველა ჰოსპიტალიზებული პირის სკრინინგი. ამასთან, თქვენი 2017 წლის 17 ივლისის N45/ნ ბრძანებით „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვრის N01-2/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, სავალდებულო გახდა C ჰეპატიტის სკრინინგის ელექტრონული მოდულში ჩატარებული სკრინინგების დარეგისტრირება, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მიღებულ მონაცემთა ხარისხი და დროულობა. ჰეპატიტის კვირეულის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, სკრინინგში მონაწილეობის მიღების მიზნით მოკლე ტესტური შეტყობინების სახით მოწვევა დაეგზავნა საქართველოს მოქალაქე 30-60 წლის ასაკის მამაკაცებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად, შესაძლებელი გახდა C ჰეპატიტის სკრინინგის პროცესის გააქტიურება და მისი აღრიცხვის მიზნით ერთიანი ელექტრონული მოდულის დანერგვა, რომელშიც დღეის მდგომარეობით შეტანილია დაახლოებით 986 ათასზე მეტი სკრინინგი და მიმდინარეობს მასში წინა წლებში ჩატარებული მონაცემების ინტეგრაციის პროცესი, რომელიც სავარაუდოდ დასრულდება მიდმინარე თვის ბოლოს. ამასთან, ელექტრონულ მოდულში აღრიცხული სკრინინგით დადებითი შემთხვევების რაოდენობა შეადგენს 35,715 შემთხვევას, რომლის ზრდა მოსალოდნელია წინა წლების მონაცემების სრულად მიგრაციის შედეგად. ელექტრონულ მოდულში შეტანილი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ შემთხვევების დაახლოებით 25%-ში დასკრინულ ბენეფიციარს ჩატარებული აქვს ერთზე მეტი სკრინინგი, რაც მოსალოდნელი იყო გადამოწმების შესაბამისი მექანიზმების არარსებობის გამო. ასევე, მოგახსენებთ რომ ცენტრის ლაბორატორიებისა და ამბულატორიული სერვისების დონეზე თვეში საშუალოდ ტარდება დაახლოებით 30 ათასი სკრინინგი, ჰოსპიტალურ სექტორში დაახლოებით 26-27 ათასი სკრინინგი, სისხლის ბანკებსა და ქალთა კონსულტაციებში დაახლოებით 8 ათასი. C ჰეპატიტის ელიმინაციის სტარტეგიით დასახული მიზნების მისაღწევად, მომდევნო 3

წლის მანძილზე დამატებით უნდა დისკრინოს დაახლოებით 2,200 ათასი ადამიანი, რაც წლიდან წლამდე უფრო მეტად გაჭირდება, რადგანაც პირველ წლებში სკრინინგი შედარებით ადვილია აქტიური მოსახლეობის ხარჯზე, ხოლო შემდგომ წლებში უნდა მოხდეს მოსახლეობის პასიური ნაწილის მოზიდვა.

მოგახსენებთ, რომ C ჰეპატიტის სკრინინგის ღონისძიებების გაფართოების მიზნით, ცენტრს ქონდა წინასწარი კონსულტაცია იუსტიციის სახლთან, რომელშიც ძალიან დიდია მოსახლეობის ნაკადები და განსაკუთრებით ეფექტური იქნება სკრინინგის კამპანიის წარმოება, კერძოდ, მოწოდებული სტატისტიკით, იუსტიციის მხოლოდ 12 სახლში რომლებიც განთავსებულია რეგიონულ ცენტრებსა და დიდ ქალაქებში, მოსახლეობის ნაკადი საშუალოდ თვეში შეადგენს დაახლოებით 450 ათას ადამიანს. აღნიშნული კონსულტაციებისას მათი მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა სკრინინგის ერთობლივი პროექტის ჩატარებაზე, რომლის შემდეგაც დაავადებათა კონტროლის ცენტრში შემუშავებული იქნა განსახორციელებელი აქტივობების წინასწარი მონახაზი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება წელიწადში დაახლოებით 410 ათასზე მეტი ადამიანის დასკრინვა, ხოლო წლიური ბიუჯეტი 740 ათასი ლარი (აღნიშნულ ბიუჯეტში ტესტებისა და სახარჯი მასალების წილი შეადგენს 67%), რომლის ფარგლებშიც 17 ბრიგადის (ერთი რეგისტრატორი და ერთი ლაბორანტი) მიერ, მათი დღიური გამტარუნარიანობის (დღეში საშუალოდ 96 ადამიანის დასკრინვა).

ზემოაღნიშნული პროექტი საჭიროებს შეთანხმებას ორ უწყებას შორის და საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ცენტრი დაიწყებს მოლაპარაკებებს იუსტიციის სახლთან პროექტის განხორციელების მიმართულებით. ამასთან, მოგახსენებთ, რომ პოლიტიკური მხარდაჭერის შემთხვევაში, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად მოსამზადებელი სამუშაოებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის ნოემბრის თვიდან, ხოლო აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად მიმდინარე წელს (ნოემბერი-დეკემბერი) C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის სკრინინგის კომპონენტის ბიუჯეტი საჭიროებს დაახლოებით 130 ათასი ლარით გაზრდას.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე